**ცნობა**
**ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

**24 მაისი, 2011 წელი**

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ ქ. თბილისში, დიდი ხეივნის N3-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შედგენის მომსახურების **(საკონკურსო განცხადების ნომერი №51)** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**საკონკურსო კომისია:**

თავმჯდომარე ____________ ლევან გოთუა

წევრი ____________ ლადო ქარქაშაძე

წევრი ____________ ლევან დვალი

წევრი ____________ თეიმურაზ შავდია

**საკონკურსო კომისიის აპარატი:**

____________ ეკატერინე მჭედლაძე

____________ ირაკლი სიხარულიძე

____________ სოფიკო ვაჩეიშვილი

ქ. თბილისში, დიდი ხეივნის N3-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული **პროექტის შედგენის**
მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი **24.05.2011 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ლევან გოთუა |
| კომისიის წევრები | ლადო ქარქაშაძე, ლევან დვალი<br>თეიმურაზ შავდია |
| კომისიის აპარატის წევრები | ეკატერინე ძნელაძე, სოფიკო ვაჩეიშვილი,<br>ირაკლი სიხარულიძე |

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი მალხაზ ლომთაძე

**დღის წესრიგი:**

შემოსავლების სამსახურის მიერ ქ. თბილისში, დიდი ხეივნის N3-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსში (განცხადების უნიკალური N51) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების **განხილვა.**

**მოისმინეს:**

კომისიის აპარატის წევრის, ეკატერინე ძნელაძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტის, **შ.პ.ს. „არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორების“** მიერ შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში (2011 წლის 6 მაისის 17:00 საათამდე) შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 28 აპრილს გამოცხადებულ კონკურსშიწარმოდგენილ იქნა საკონკურსო წინადადება.

**განიხილეს:**

1. შ.პ.ს. **„არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორების“** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 131200 (ასოცდათერთმეტი ათას ორასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას. ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ინფორმაცია შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან, მათ შორის კონკურსანტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები.
2. ვინაიდან შ.პ.ს. **„არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორების“** მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან კომისიამ იმსჯელა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფციისა და მისი შინაარსის შესახებ. კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფცია და თითოეულმა წევრმა დააფიქსირა თავისი დადებითი შეფასება აღნიშნულთან დაკავშირებით.

**კომისიამ დაადგინა:**

1. შ.პ.ს. **„არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორების“** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–4 მუხლის მე-3 პუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობების შესაბამისად კომისიის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **შ.პ.ს. „არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები“**, რომელთანაც შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შ.პ.ს. **„არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორების“.**

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | /ლევან გოთუა/ |
| კომისიის წევრი | /ლადო ქარქაშაძე/ |
| კომისიის წევრი | /ლევან დვალი/ |
| კომისიის წევრი | /თეიმურაზ შავდია/ |